ПРОЛЕТАРЕБО ᲛᲣᲨᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘᲡ. № 32 (13153) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲗᲔᲗᲒᲠᲘᲡᲕᲐᲚᲘ 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

- ᲛᲐᲠᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ
- ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ
- ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

ᲜᲘᲜᲘᲡᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲛᲐᲖᲔ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲝᲠᲛ ᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲒᲐᲒᲔ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ. ᲐᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲝᲤᲓᲔᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲘᲚᲐᲓ ᲐᲮᲠᲝᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲡ, ᲧᲕᲔᲚ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲑᲐᲛᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲣᲜᲔᲠᲒᲐᲕᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲕᲔᲑᲡ, ᲐᲡᲬᲐᲚᲚᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲚᲘᲢᲧᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲛᲓ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, „ᲛᲨᲠᲝᲛᲚᲗᲐ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ-ᲒᲐᲛᲒᲝᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ“. ᲡᲙᲙᲗ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲜᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲣᲠᲩᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞ

კომუნისტი

ჟანგის ჟინჟღროლით!

ჟანგიულ-სახელმწიფო კონტროლის ჟვალდ №23

ამ გვერდზე წაიკითხავთ:

- ავამაღლოთ სამედიცინო მომსახურების კულტურა
- მეჯი ყურადღება თბილისის ბოსტნეულით მომარაგებას
- მშრომელთა სიგნალები, შენიშვნები

რკინიგზის საავადმყოფოს —საინიმუშო დესრიგი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის კოლეგიუმში

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა ამ დღეებში განიხილა ამიერკავკასიის რკინიგზის საექმო-სანიტარული სამსახურის თბილისის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს საქმიანობის შემოწმების შედეგები.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, რეპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სამეურნეო დაწესებულების — თბილისის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს (უფროსი ამხ. ნ. სალადაძე, მოადგილე სამეურნეო ნაწილში ამხ. რ. დავიდოვი, მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში ამხ. ა. დნეპროვი) და მისი პოლიკლინიკის (საავადმყოფოს უფროსის მოადგილე პოლიკლინიკაში ამხ. ვ. ფერაძე) მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია, არ არის ჯეროვანი ზრუნვა რკინიგზელთა სამედიცინო მომსახურებაში წესრიგის დამყარებისათვის. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს კოლექტივის დარაზმულობას და ურიგდება ნაკლოვანებებს.

საავადმყოფოში შექმნილი არ არის ნორმალური პირობები ავადმყოფთათვის. საწოლების არათანაბარი განაწილების გამო ზოგიერთ პალატაში მეტის-მეტი სივიწროვეა და თვითეული ავადმყოფზე მოდის არა უმეტეს 3 კვადრატული მეტრი ფართობისა ნაცვლად ნორმატივით გათვალისწინებული 6-7 კვადრატული მეტრისა; ზოგიერთ პალატასა და განყოფილებაში კი ეს მაჩვენებელი 10 კვადრატულ მეტრს აღწევს.

მაშინ როცა საავადმყოფო საკმარისად არ იყო დატვირთული და საწოლდღეების გეგმას ვერ ასრულებდნენ, 1963 წელს ამბულატორიაზე უარი უთხრეს 285 ავადმყოფს და 1964 წელს — 102-ს.

შემოწმებით დადასტურდა ავადმყოფთა არასრულფასოვანი გამოკვლევის, მკურნალობისა და უბენი დიაგნოსტიკური შეცდომების მრავალი ფაქტი.

საავადმყოფო საკმარისად არ არის აღჭურვილი სამედიცინო მოწყობილობებით, აპარატურითა და ინსტრუმენტებით. პოლიკლინიკის ქირურგიული კაბინეტის შესაბამის ოთახში ნორმატივებით გათვალისწინებული 86 დასახელების საგნებიდან არ არის 28 დასახელებისა, ანალოგიური მდგომარეობაა ფოროლოგიურ კაბინეტში, სადაც 106 დასახელების საგნებიდან არ არის 65 და ა. შ. საკმაო რაოდენობით არა აქვთ მაცივრები, რბილი და მაგარი ინვენტარი; არსებული ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილიც უვარგის მდგომარეობაშია. ეს მაშინ, როცა 1963 წელს გამოუყენებელი დარჩა ამ მიზნისათვის გათვალისწინებული 16 ათასი მანეთი, ხოლო 1964 წლის 11 თვეში — 13,9 ათასი მანეთი.

არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული ავადმყოფთა კვება. განსაკუთრებით ცუდად მარაგდება საავადმყოფო ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით, ფრუთა და რძის ნაწარმით. 1964 წლის 9 თვეში ნორმით გათვალისწინებული 61,8 ტონა ბოსტნეულის ნაცვლად ფაქტიურად გაცემულია 21,2 ტონა, ხილი გაცემულია 0,5 ტონა (2,3 ტონის ნაცვლად), რძე — თითქმის ორჯერ ნაკლები და ა. შ.

მზა კერძების საკონტროლო გამოკვლევით დადასტურდა, რომ ავადმყოფების მენიუ — განრიგით გათვალისწინებულზე დაკლეს 30 პროცენტამდე კალორიები, 49 პროცენტი ცხიმეული და 20 პროცენტი ცილა.

საავადმყოფოს ტერიტორია თავმინებებული და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ეზოს ტერიტორიაზე ურნების ნაკლებობაა, ნაგავი მიმოფანტულია, ნაგვისსაწყავი ღუმელის მშენებლობა, რაც რამდენიმე წლის წინათ დაიწყეს, დღემდე არ არის დამთავრებული.

საავადმყოფო სრულიად არადამაკმაყოფილებლად მარაგდება წყლით. მწვანე ნარგავები მოუვლელია.

მიუხედავად იმისა, რომ სარემონტო სამუშაოებზე ყოველწლიურად დიდი სახსრები იხარჯება, საავადმყოფოს ბევრი შენობა თავმინებებულ მდგომარეობაშია, კედლებიდან და ჭერიდან ბათქაში ცვივა, ლინოლეუმი გაცვეთილია, იატაკები — გამტვერიანებული. ზოგიერთ პალატაში ცუდი ვენტილაციაა. უწესიერო მდგომარეობაშია სანიტარული კვანძები.

დაშვებულია დიდი გადახარჯვა და თანხების აუთვისებლობა ბიუჯეტის ცალკეული მუხლების მიხედვით. 1963 წელს ხარჯადრიცხვის მიხედვით საერთო გადახარჯვამ შეადგინა 8.384 მანეთი. ამავე დროს აუთვისებელი დარჩა კვებისათვის გამოყოფილი თანხა—12.077 მანეთი, კაპიტალურ რემონტზე — 920 მანეთი, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე — 1.000 მანეთი და სხვ. 1964 წლის 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი გადახარჯვამ შეადგინა 6.914 მანეთი, ხოლო ცალკეული მუხლებიდან მიღებული აუთვისებელი დარჩა 21.242 მანეთი.

საავადმყოფოს 40 თანამშრომლიდან, რომლებიც შეთავსებით მუშაობენ, 9 უკანონოდ იღებს ორ-ორ სრულ განაკვეთს.

მოუწესრიგებელია მედიკამენტების, თეთრეულისა და სხვ. შენახვა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საავადმყოფოსთან არსებული პოლიკლინიკაც. პოლიკლინიკის ექიმები, მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებულ ნორმატივებთან შედარებით 50 პროცენტზე მეტით არ არიან დატვირთულნი, დაუშვებლად აქიანურებენ ავადმყოფთა გამოკვლევისა და მკურნალობის ვადებს. მთელ რიგ შემთხვევებში ავადმყოფები, რომლებიც დისპანსერიული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყონ, დაგვიანებით ამყავთ აღრიცხვაზე ან სულაც არ არიან აღრიცხულნი. ცუდად არის დაყენებული ავადმყოფთა მომსახურება ბინაზე. იშვიათი არ არის საავადმყოფო ფურცლების უსაფუძვლოდ გაცემისა და ავადმყოფთა არასწორი აღრიცხვის შემთხვევები. ჯერ კიდევ არის უხეში დარღვევები ავადმყოფობის ისტორიის, საამბულატორიო რუკებისა და სხვა სამედიცინო დოკუმენტაციის გაფორმებაში.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგოები მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ვერ აკლინებენ და საავადმყოფოს ხელმძღვანელობას ქმედი ზომებიც ვერ მიუღია. ამერიკავკასიის რკინიგზის სამკურნალო-სანიტარულმა სამსახურმა (უფროსი ამხ. ი. კუპაშვილი) ფაქტიურად შეუწყვიტა საავადმყოფოს საქმიანი დახმარება და ურიგდება მის მუშაობაში არსებულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს.

საქართველოს სკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კომიტეტმა მიიღო ცნობად ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ამხ. გ. ქადაგიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ხორციელდება ღონისძიებანი საავადმყოფოს ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად და ავადმყოფთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურებისა და საავადმყოფოს მეურნეობის სრულ წესრიგში მოსაყვანად.

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ხელმძღვანელობის წინაშე დასახულ იქნა ამოცანა საავადმყოფოს მთელი მუშაობა წარმართოს არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად, უზრუნველყოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულება, შემდგომ გააუმჯობესოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ხარისხი, რათა ხელი შეუწყოს რკინიგზელთა შორის დაავადებათა და შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის შემთხვევების შემცირებას, ამბულატორიულ და სტაციონარულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების კულტურის ამაღლებას, საავადმყოფოს აღჭურვას თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით, აპარატურითა და ინსტრუმენტებით.

თბილისის რკინიგზის კლინიკურ საავადმყოფოსთან არსებულ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფსა და საგუშაგოებს მოეთხოვა გააქტიურონ მუშაობა. სისტემატიურად გამოავლინონ საავადმყოფოს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი და მათ გამოსასწორებლად ყოველდღიური დახმარება გაუწიონ საავადმყოფოს პარტიულ ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობას.

მკითხველის წერილი მსატვრის კომენტარით

თავგოთავდონე ცხენოსანი თოხარიკით მიაქროლებდა ლურჯას სოფელ ძიმითისაკენ. უკან დარჩა მტვრის კორიანტელი...

უცებ ცხენი მოწყვეტით შეჩერდა, ერთი ადგილის ტკეპნა დაიწყო. მგზავრიც შეკრთა, შიშმა აიტანა, წინ წუმპით სავსე ვეებერთელა ორმო დაინახა. ოცი ნაბიჯის იქით კი ტალახში ავტომანქანა ჩაფლულიყო.

— არ გაბედო აქეთ წამოსვლა, დაიღუპები..., — ხელის ქნევით მოაძახა ავტომანქანის მძღოლმა ცხენოსანს.

მაგრამ... ვერ უშველა.

ასეთ სურათს იშვიათად როდი შეხვდებით სოფელ ქვემო აკეთისა და ძიმითის მახლობლად საავტომობილო გზაზე. ნუთუ გულშემატკივარი არა ჰყავს ამ გზას?

კ. ლლონტი, ნ. მუხაშავრია, ი. ჩხაიძე, მ. ჭეიშვილი.

მახარაძე-ლანჩხუთი.



მხატვარი ი. ქოქიაშვილი.

მთესველი თესლს ეძებს

გაზაფხულიც არც ისე შორს არის, ლენინგორის რაიონის სოფელ წირარის კოლმეურნეობაში კი თესლის მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ავიღოთ თუნდაც კარტოფილი. კოლმეურნეობას 200 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 46 ცენტნერი აქვს დამზადებული. გაზაფხულის ქერი აკლიათ 64 ცენტნერი.

წირელებს მხოლოდ სიმინდის თესლი აქვთ საჭიროზე მეტი და მთლიანად კონდიციურია.

ა. მარგიევი,

პარტიის ლენინგორის რაიკომის ინსტრუქტორი.

სახნავი მიწების ხარჯზე

არაერთხელ თქმულა: როდემდის უნდა გაგრძელდეს ხალხის დასახლება ალაზნის ველის მიმართულებით? სოფელ კარდანახში ხალხმა რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა დატოვა და ვაკე ადგილებში ჩასახლდა. საბჭოთა მეურნეობამ ისიც კი გააკეთა, რომ ძველისძველი ორმოცი ჰექტარი საუნაბე სამოსახლოდ აქცია.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დასახლება ბადიაურის დასავლეთ მხარეს, სადაც გასულ წლებში მზესუმზირას და სიმინდის ყანები იყო. თუ ასე გაგრძელდა, ყანდაურის კოლმეურნეობას ივრის მარცხენა მხარეს არც ერთი ჰექტარი სახნავი მიწა ადარ დარჩება.

ვაკეზე იწევენ სიღნაღის რაიონის წინამხრის სოფლები. ხაინტერესოა, როდემდის უნდა გაგრძელდეს ბაღ-ვენახებისა და სახნავი მიწების ასე ხელადგილი სამოსახლოდ გამოყენება?

ყურადღების ღირსია მიწის ნაკვეთებიც, რომლებიც კოლმეურნეებს ჩამოაჭრეს ნორმის ზევით. ამ ნაკვეთებს არავინ არ ამუშავებს და უპატრონოდ არის მიტოვებული.

მ. ჯაბაშვილი,

გურჯაანის რაიონის ბაკურციხის სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი.

„კომუნისტის“ რჩილი

ალარ შემიძლია მეტი, გავთავდი ყოველდღე ბაზარში სიარულით! ახლო მაინც იყოს ეს დასაქცევი. ადიდე ხორაგით გატენილი ამოდენა ჩანთა და ათრევ, დამაწყდა მკლავები, — შესჩივის გამწარებული დიასახლისი ოჯახის წევრებს.

— თუ ასე გიჭირს ნუ წახვალ. — წყრება მეოთლის წოწონით თავგადაბერებული ქმარი, ან კი რა გიდა ციხემარე დღე ბაზარში რომ დადიხარ. აგერ მაღაზიები გაქვს ცხვირწინ, და იყიდე, თუ რამე გიდა.

— ელაპარაკე ახლა ამას! — არაფერი შენ არ გაგიგია ამ ცხოვრების... მაღაზიაში რომ მგზავნი, ჯერ მკითხე, რა უნდა ვიყიდო.

— რას იყიდი, და რაც გჭირდება!

—მაგალითად, რა?

— მე რა ვიცი, რაც გინდა.

— კარგი, ვთქვათ. ვიყიდე ხორცი, მერე?

— მერე რა?

— მაგას გაკითხავ ხომ უნდა! მწვანილი, ბოსტნეული, ხილი სად ვიყიდო?

— შენი არ მიკვირს? შეხედე, აგერ ჩვენი სახლის წინ რამოდენა ასორბით აწერია მაღაზიას „ბოსტნეული, ხილი“.

— ე, უსაფერი კიდევ. რას მეუბნება, — სიბრაზისაგან სუნთქავ შეეკრა დიასახლისს, — ამ, რა ხართ კაცები! ერთხელ მაინც სინჯე, თვითონ შედი მაღაზიაში, და მერე მელაპარაკე.

ეს ოჯახური დიალოგი, ვფიქრობთ, უცხოდ და უცნაურად არც ერთ თბილისელს არ მოეჩვენება. ხოლო ვინც ერთხელ მაინც შესულა თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიაში და მუშტრის თვალით გადაუხედავს პროდუქტების თაროებისათვის, იგი ადვილად გაიგებს ჩვენი დიასახლისების გასაჭირს, მიხვდება, თუ რატომ უვლიან ისინი გვერდს მაღაზიას, რატომ არჩევენ შორი გზა მოიარონ და საკოლმეურნეო ბაზრიდან მამასისხლად მოიტანონ ბოსტნეული და ხილი.

ჯერ ერთი, ყველა საჭირო პროდუქტს მაღაზიაში ვერ იშოვნი, ხან მწვანილი არ არის, ხან ხახვი, ხანაც კომბოსტო თუ ქარხალი. მერე და, რაც არის, ხშირად ისიც მდარე ხარისხისაა, ცუდად აწყდიან მომხმარებელს.

თბილხილბოსტანვაჭრობის № 35 მაღაზია (გამგე ა. ნალბანდიანი) საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ უბანში მდებარეობს (ავლაბარში) და არც საკოლმეურნეო ბაზარია სადმე მახლობლად, ასე რომ ხილსა და ბოსტნეულს ამ მაღაზიაში კარგი გასაკეთილი უნდა ჰქონდეს. მაგრამ აქ ბოსტნეული დღეში სულ რაღაც რამდენიმე მანეთისა თუ ვაიყიდება. სამაგიეროდ მაღაზიაში კარგი გასაკეთილი აქვს ღვინოს და სხვა ალკოჰოლიან სასმელებს, ძეხვეულს, კარაქს... ვაჭრობის გეგმასაც მაღაზია ძირითადად ამ პროდუქტების ხარჯზე ასრულებს და, ჩანს, ეს უფრო აძლევთ ხელს მაღაზიის მესვეურთ. ამიტომ ხალისა და ბოსტნეულის შემოტანით არც არიან დაინტერესებული. თუმცა მაღაზია სწორედ ხილ-ბოსტნეულისა და არა გასტრონომიული.

შემოწმების დღეს აქ გასაყიდად არ ჰქონდათ მწვანილი, კომბოსტო, სტაფილო, სავსებით უხარისხო, ნახევრად ამწვანებული იყო თავიანი ხახვი, რომელსაც აქ ჰყიდდნენ.

ცხადია, ასეთი მაღაზია ვერ დაიკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას ხილსა და ბოსტნეულზე.

ხილისა და ბოსტნეულის შედარებით ფართო ასორტიმენტი აქვთ თბილხილბოსტანვაჭრობის № 1, 41, 46, 33, 29, 36, 35 მაღაზიებში, მაგრამ მომხმარებელი არც ამ მაღაზიებს ეტანება, რადგან პროდუქტები ჯერ-კარგენინმით, ჯერ-ლერსებით ვერ შეიდრება კოლმეურნეთა მიერ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ ხილსა და ბოსტნეულს.

ასეთი მდგომარეობა მარტო დასახელებულ მაღაზიებში რომ იყოს, შეიძლება არაფერი გვეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფოთქმის ყველა მაღაზიაში ბოსტნეული და ხილი მეტად ფუჭირულად გამოიყურება. უხარისხოა, მომხმარებელს ჯერ იზიდავს.

განსაკუთრებით ზამთარში თბილისის მოსახლეობის ახალი ბოსტნეულით მომარაგება ჯერჯერობით ძირითადად ამინდზეა დამოკიდებული. როგორც კი ყინვები დაიწყება, მაღაზიებში მწვანილი გაქრება. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში დღემდე ვერ მოხერხდა სასათბურე მეურნეობის მოწყობა.

სამ თებერვალს კრწანისისა და რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობებში დიდი რაოდენობით ენახეთ ამოდებული მოლოკი. როცა მეურნეობის ხელმძღვანელებს შევეკითხეთ, რატომ დამზადების პუნქტებს არ აბარებთო, მათ განაცხადეს: ბაზარზე საკმარისი ინვენტარის ნაკლებობა, მეტი ყურადღება უნდა დეკემბრის დამამზადებელი პუნქტების შესაფერად გამართვას და მოწყობას.

ბოლოს საქმეროა მეტი ურთიერთგაგება და მჭიდრო კავშირი დამყარდეს საავარო ორგანიზაციასა და ბოსტნეულის მწარმოებლებს შორის. მეორეგვარად-მებოსტნეობის ტრესტი (მმართველი დ. ზარაშვილი), საბჭოთა მეურნეობები ბოსტნეულის წარმოებას უნდა გეგმავდნენ თბილხილბოსტანვაჭრობასთან შეთანხმებით და მტკიცედ ასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

თბილხილბოსტანვაჭრობაში საყვედური გამოთქვეს თბილისის ირგვლივმდებარე ბოსტნეულის მწარმოებელი მეურნეობების მიმართ, რომ ზოგჯერ ისინი ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით ეკიდებიან დადებული ხელშეკრულების შესრულებას, და ასეთი მაგალითი მოიყვანეს: შარშან ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში იშვიათად შეხვდებოდით „შუშა“ კიტრს. მეტწილად ზრდადასრულებული, მსხვილი შეყვითლებული კიტრი იყიდებოდა. ეს იმიტომ მოხდაო, აგვრეთვე საჭირო ინვენტარის ნაკლებობა, მეტი ყურადღება უნდა დეკემბრის დამამზადებელი პუნქტების შესაფერად გამართვას და მოწყობას.

ბოლოს საჭიროა მეტი ურთიერთგაგება და მჭიდრო კავშირი დამყარდეს საავარო ორგანიზაციასა და ბოსტნეულის მწარმოებლებს შორის. მეორეგვარად-მებოსტნეობის ტრესტი (მმართველი დ. ზარაშვილი), საბჭოთა მეურნეობები ბოსტნეულის წარმოებას უნდა გეგმავდნენ თბილხილბოსტანვაჭრობასთან შეთანხმებით და მტკიცედ ასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

თბილხილბოსტანვაჭრობაში საყვედური გამოთქვეს თბილისის ირგვლივმდებარე ბოსტნეულის მწარმოებელი მეურნეობების მიმართ, რომ ზოგჯერ ისინი ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით ეკიდებიან დადებული ხელშეკრულების შესრულებას, და ასეთი მაგალითი მოიყვანეს: შარშან ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში იშვიათად შეხვდებოდით „შუშა“ კიტრს. მეტწილად ზრდადასრულებული, მსხვილი შეყვითლებული კიტრი იყიდებოდა. ეს იმიტომ მოხდაო, აგვრეთვე საჭირო ინვენტარის ნაკლებობა, მეტი ყურადღება უნდა დეკემბრის დამამზადებელი პუნქტების შესაფერად გამართვას და მოწყობას.

ბოლოს საჭიროა მეტი ურთიერთგაგება და მჭიდრო კავშირი დამყარდეს საავარო ორგანიზაციასა და ბოსტნეულის მწარმოებლებს შორის. მეორეგვარად-მებოსტნეობის ტრესტი (მმართველი დ. ზარაშვილი), საბჭოთა მეურნეობები ბოსტნეულის წარმოებას უნდა გეგმავდნენ თბილხილბოსტანვაჭრობასთან შეთანხმებით და მტკიცედ ასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

„კომუნისტის“ რჩილი

„ავამაღლოთ სამედიცინო მომსახურების კულტურა“

ეს სათაური „კომუნისტის“ სპეციალურ გვერდზე „მასების კონტროლით! № 17“ დაბეჭდილ იმ წერილს ჰქონდა, რომელშიც მხილებული იყო აჭარის სსრ კოლმეურნეობებში ტექნიკის გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. წერილთან დაკავშირებით პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „მანქანები უჩივიან... ადამიანებს“ მოყვანილი ფაქტები შემოწმებით ძირითადად დადასტურდა.

შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ და დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობებში ტექნიკის გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„მკითხველთა წერილები მსახვრის კომენტარებით“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდზე „მასების კონტროლით! № 20“ დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტის მუშათა სასადილოში არსებულ ნაკლოვანებებს. წერილთან დაკავშირებით ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. გიორგობიანი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილში „მკითხველთა წერილები მსახვრის კომენტარებით“ მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

შახტის ადმინისტრაციის მიერ მიღებულია სათანადო ღონისძიება: გადახურულია საქვაბე, დადგმულია მტვერშემწოვი ვენტილატორი და სასადილოში დაცულია საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მანქანები უჩივიან... ადამიანებს“

ეს სათაური „კომუნისტის“ სპეციალურ გვერდზე „მასების კონტროლით! № 17“ დაბეჭდილ იმ წერილს ჰქონდა, რომელშიც მხილებული იყო აჭარის სსრ კოლმეურნეობებში ტექნიკის გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. წერილთან დაკავშირებით პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი რედაქციას ატყობინებს:

შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ და დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობებში ტექნიკის გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„მკითხველთა წერილები მსახვრის კომენტარებით“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდზე „მასების კონტროლით! № 20“ დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტის მუშათა სასადილოში არსებულ ნაკლოვანებებს. წერილთან დაკავშირებით ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. გიორგობიანი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილში „მკითხველთა წერილები მსახვრის კომენტარებით“ მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

შახტის ადმინისტრაციის მიერ მიღებულია სათანადო ღონისძიება: გადახურულია საქვაბე, დადგმულია მტვერშემწოვი ვენტილატორი და სასადილოში დაცულია საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

დროებითი თუ დრომოჭმული?..

როცა ქუთაისში ავტომატური ტელეფონის სადგური ამუშავდა და ძველი სადგურის ქსელის ახალ ქსელზე გადართვა დაიწყო, იმ ხანად გამოიცა ქალაქის ტელეფონის ქსელის ამონენტების სია. ალნიშნულ სიას, რაკი იგი სრულყოფილი არ იყო და ქსელის გადართვა გრძელდებოდა, იქვე მიაწერეს — „დროებითი საცნობო წიგნი, შემოკლებული“.

ეს იყო 1961 წელს. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დამთავრდა ავტომატური ტელეფონის ქსელზე გადართვის როგორც პირველი, ისე უკანასკნელი პერიოდი, მთლიანად ამუშავდა ახალი სადგური, ხოლო ამონენტების რაოდენობა ერთიორად და მეტად გაიზარდა.

ამასობაში ძველ ამონენტებს ხელში შემოაცვდათ ისევდაც ხახარისხო ქაღალდზე დაბეჭდილი პატარა წიგნი, რომელიც ამასთან შეცდომებისაგან დაზღვეული როდია და სავსეა მოწყვეტილი ტელეფონების ნომრებით. მეორე მხრივ, ახალ ამონენტებს მცირე ტირაჟით გამოცემული ეს დროებითი თუ დრომოჭმული წიგნიც კი არ გააჩნიათ.

მეხუთე წელიწადია ქალაქის მშრომელები ელოდებიან ახალი, სრულყოფილი სატელეფონო წიგნის გამოცემას, მაგრამ ეს საქმე დღემდე ჭიანურდება.

ვფიქრობთ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო და ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი დაინტერესდებიან ამ საკითხით.

შ. გაგიშვილი,

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშაკი.

შუქჩამქრალი შადრევნები

ლამაზია შავიზღვისპირეთის მზიური ქალაქი სოხუმი. რაც ბუნებას დაუკლია მისთვის, ადამიანის ხელს შეუვსია და კიდევ უფრო დაუმშვენებია. იქ, სადაც ახლა დრამატული თეატრის ქართული ორნამენტებით მოჩუქურთმებული შენობაა, ყოველდღიურად თავს იყრიან ექსკურსანტთა, ტურისტთა აუოაცხელი ჯგუფები.

მაგრამ გულსატკენია, რომ შადრევნების ირგვლივ გაშენებულ ყვავილნარს, ბალახს ფეხით თელავენ, ანადგურებენ. შადრევნები კი ღამით შუქჩამქრალი და ჩაბნელებულია. ერთი ნათურაც კი არ ანთებს მათ.

უკვე ორი წელია ეს შადრევნები ასეთ მდგომარეობაშია.

ნ. მიქაშავიძე.

სასადილოში ვერ ისადილებ

ბაშუმის ხისდამშეშავებელი კომბინატის სასადილოს უსერო მუშაობა არაერთხელ აღნიშნულა მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე. მაგრამ ამ ნაკლის გამოსასწორებლად ზომებს არავინ არ იღებს. სასადილო შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული. აქ არ ამზადებენ ცხელ კერძებს.

როდემდე ვაგრძელდება ასე?

რ. აბაშიძე,

ა. გორგაძე.





ფოტოლაკუმენტი აბსილებს

ყოველივე არსებულს აქვს თავისი დაბადების თარიღი, საკუთარი წარსული და მომავალი. ასეთივე მონაცემები აქვს ამ სურათებზე აღბეჭდილ 26 კომისრის რაიონის ბოჭორმის ქუჩაზე მდებარე ამბარსაც. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1962 წლის მარტში.

არცთუ ისე დიდი დრო გასულა მას შემდეგ. ერთი წელიწადიც კი ვერ მოესახურა იგი ადამიანებს. უკვე 1963 წლის დასაწყისში იატაკქვეშეთის ყამირის ავარიული მდგომარეობის გამო შენობის დახეთქილმა კედლებმა აუწყა კეთილმსურველებს, რომ იგი წყვეტს თავის არსებობას, სანამ არ შეაკეთებენ.

ამ დღიდან დაიწყო კომისიების გამოყოფა, მოხსენებითი ბარათების წერა, სათანადო ინსტანციებში საკითხების განხილვა, გაჩაღდა მიწერ-მოწერა. შედეგი? არავინ უწყის.

და განა მარტო ერთი კომისია, ერთი მოხსენებითი ბარათი! არა, ისინი უამრავია, საქმე კი, რომ იტყვიან, ადგილიდან არ დაძრულა.

აბანო კი დგას ასე დანგრეულ-დამახინჯებული, როგორსაც ამ სურათებზე ხედავთ.

ვინ არის დამნაშავე ასეთ უხარისხო მშენებლობაში?

განა ეს არის მომსახურება?

რატომ გაურგის მომხმარებელი თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებს

— ჩვენ მზად ვართ, მაგრამ მიმდები ვინ არის, არ იყიდებთო, — გვეუბნებიან. ვერ წარმოგვიდგენია, მაღაზიას ყოველდღიურად ახალი ბოლოკი მივაწოდოთ და იგი მომხმარებელმა არ იყიდოს, არ-ჩიოს იგივე პროდუქტი ხუთჯერ მეტ ფასად საკოლმეურნეო ბაზარზე იყიდოს.

ამ საუბრის შემდეგ ჩვენ ენახეთ კრწანისის მეურნეობასთან ახლოს მდებარე დამამზადებელი პუნქტი (გამგე გ. ზურაბიანი). საწყობები საკუთრდაკუთრად იყო დასუფთავებული, მაგრამ პროდუქტის რაიმე ნასახსაც ვერ ნახავდით.

მეურნეობას დიდი რაოდენობით აქვს ბოლოკი, აქვს ზოგიერთი სხვა სახეობის ბოსტნეულიც. რატომ არ იღებთო, შეგეკითხეთ ზურაბიანს. არ იყიდებაო, გვიპასუხა ცივად.

თვით ხილბოსტანვაჭრობის ხელმძღვანელებიც ვერ მალავენ, რომ ხილიცა და ბოსტნეულიც დედაქალაქის მომარაგების საქმეში ბევრი ნაკლოვანებებია და ამ ნაკლოვანებათა მიზეზებსაც ასახელებენ.

ისეთი ფაქიზი და მალფუჭებადი პროდუქტების მიწოდების საქმეში, როგორიც ხილი და ბოსტნეულია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულად და სწრაფად გადაზიდვას, ტრანსპორტირებას. ტრანსპორტის მხრივ კი თბილხილ-ბოსტანვაჭრობას ძალიან უჭირს. არსებულ ტრანსპორტს მაქსიმალურად ვერ იყენებენ.

მწვანილი ყველაზე სათუთია, მის გადასაზიდად სრულებითაც არ არის საჭირო დიდი სატვირთო მანქანები. მაგრამ თბილხილბოსტანვაჭრობა დღემდე ვერ ეღირსა პატარა ფურგონიანი მანქანების მიღებას.

საქმეს მნიშვნელოვნად აფერხებს საწყობებისა და სამაცივრო მეურნეობების, ფართო ასორტიმენტი აქვთ თბილხილ-ბოსტანვაჭრობის № 1, 41, 46, 33, 29, 36, 35 მაღაზიებში, მაგრამ მომხმარებელი არც ამ მაღაზიებს ეტანება, რადგან პროდუქტები ჯერ-კარგენინმით, ჯერ-ლერსებით ვერ შეიდრება კოლმეურნეთა მიერ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ ხილსა და ბოსტნეულს.

ასეთი მდგომარეობა მარტო დასახელებულ მაღაზიებში რომ იყოს, შეიძლება არაფერი გვეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის ყველა მაღაზიაში ბოსტნეული და ხილი მეტად ფუჭირულად გამოიყურება. უხარისხოა, მომხმარებელს ჯერ იზიდავს.

განსაკუთრებით ზამთარში თბილისის მოსახლეობის ახალი ბოსტნეულით მომარაგება ჯერჯერობით ძირითადად ამინდზეა დამოკიდებული. როგორც კი ყინვები დაიწყება, მაღაზიებში მწვანილი გაქრება. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში დღემდე ვერ მოხერხდა სასათბურე მეურნეობის მოწყობა.

სამ თებერვალს კრწანისისა და რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობებში დიდი რაოდენობით ენახეთ ამოდებული მოლოკი. როცა მეურნეობის ხელმძღვანელებს შევეკითხეთ, რატომ დამზადების პუნქტებს არ აბარებთო, მათ განაცხადეს: ვიზსნეს საჭირო ორგანიზაციაში, რომ მეურნეობებში საგულდაგულოდ ზრდიდნენ ბაღჩაში კიტრს, რომ წონაში მეტი მოსულიყო, მის ღირსებას კი არავინ დაგიდევდათო.

თურმე ასევე იქცევიან მეურნეობები მწვანე ხახვის ჩაბარების დროსაც

გულთბილი ფეხვედრები ვიეტნამის მიწაზე

(დასასრული)

ა. ნ. კოსიგინმა ხაზი გაუსვა, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა საბჭოთა კავშირში, მისი ეკონომიკის განვითარება განამტკიცებს მთელ სოციალისტურ ბანაკს, ემსახურება მის საერთო ინტერესებს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, თქვა მან, მთელი ჩვენი საქმეების საფუძველი იყო და არის როგორც საშინაო პოლიტიკის დარგში, ისე მომე სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ სოციალიზმისა და პროგრესის, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების, რევოლუციური ხალხების ძალების ზრდა და განმტკიცება აშფოთებს და აშინებს იმპერიალისტებს. ისინი ცდილობენ დააბრუნონ წარსული, ყველავ დაადგან ხალხებს სოციალური ჩაგვრისა და კოლონიალიზმის უღელი. იმპერიალიზმის მტაცებლური ბუნება, მისი ავანტიურული არსი მკაფიოდ ვლინდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამერიკის აგრესიულმა ფრენებმა ატეხეს საბარკეხეინო ომი სამხრეთ ვიეტნამში, რათა ჩაახშონ ხალხის კანონიერი მისწრაფება დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრებისადმი, გადაკეცონ სამხრეთი ვიეტნამი ამერიკის სამხედრო ბაზად, კოლონიალიზმის დასაყრდენ პუნქტად.

საბჭოთა ხალხი, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, სავსებით უჭერს მხარს თავისი ვიეტნამელი ძმების სამართლიან ბრძოლას. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი გაიმარჯვებენ. მათი მამაცობა საბჭოთა ხალხის და მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის სიმპათიებსა და აღტაცებას იწვევს.

საბჭოთა ადამიანები, თქვა შემდეგ ამხანაგმა კოსიგინმა, მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაიყვანონ ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, გაიტანონ იქიდან შეიარაღება და შესაძლებლობა მისცენ ვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაჭრას თავისი საშინაო საქმეები.

საბჭოთა კავშირმა მტკიცედ გააფრთხილა შეერთებული შტატები მათს იმ ქმედებათ დაკავშირებით, რომ დაიწყონ საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩვენ მტკიცედ განვაცხადეთ, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილად ვერ მოეკიდება მოძმე სოციალისტური ქვეყნის ბედს და მზად არის საჭირო დახმარება გაუწიოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუ აგრესორები გაბედავენ ხელყონ მისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, დაბეჯითებით მოითხოვს შეწყვეს უცხოეთის ჩარევა ლაოსის საშინაო საქმეებში, ამერიკამ საკუთრები გაიყვანოს სამხედრო მოსამსახურეები, შეიქმნას დამოუკიდებელი და ნეიტრალური ლაოსი.

საბჭოთა კავშირი წინააღმდეგია ყოველგვარი მოქმედებისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ცაძალობის გაძლიერება და კონფლიქტების წარმოშობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჩვენ გადაწრით ვგმობთ იმპერიალისტთა ხრიკებს ნეიტრალური და მშვიდობისმოყვარე კამბოჯის წინააღმდეგ, ინგლისელ იმპერიალისტთა მისწრაფებას გამოიყენონ მალაიზია თავიანთ პლაცდარმად ინდონეზიის წინააღმდეგ პროვოკაციებისათვის.

განუხრელად ახორციელებს რა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი არ ემუქრება არც ერთ ქვეყანას, განაცხადა ა. ნ. კოსიგინმა. საბჭოთა ხალხს ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის მიაჩნია ბრძოლად იმისათვის, რომ შეიქმნას უფრო ხელშემწყობი პირობები სოციალისტური თანამგზობრობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რევოლუციური მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის.

შეეხო რა იმპერიალიზმის გეგმებს შეარყიოს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, ამხანაგმა კოსიგინმა თქვა: ჩვენ გვწამს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის ძალა და ვიბრძოლებთ მისთვის. ამაოდ იმშვიდებენ თავს კომუნიზმის მტრები იმ აზრით, რომ მათს ხრიკებს მოჰყვება სოციალისტური ქვეყნების გათიშვა. ერთიანი სოციალისტური ოჯახის წევრთა ძმური თანამშრომლობის ურთიერთობის განმტკიცება, მუდმივი დაახლოება მათ შორის კანონზომიერი ისტორიული პროცესია. და თუმცა ეს პროცესი რთულ პირობებში მიმდინარეობს და ბევრი სიძნელის გადალახვასთან არის დაკავშირებული, ბოლოს და ბოლოს ამ პროცესს მოჰყვება ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების გამარჯვება. ჩვენს პარტიასა და საბჭოთა მთავრობას თავიანთ უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ სოციალისტური თანამგზობრობის ერთიანობა და შეკავშირება.

თვითეული ქვეყნის მშრომელთა ეროვნული ინტერესები მოითხოვს ყოველი ღონისძიებით განმტკიცდეს რევოლუციური მოძრაობის ყველა რაზმის ძმური სოლიდარობა, ინტერნაციონალური ერთიანობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შეგნებული აქვს ეს და მტკიცედ და განუხრელად ილამბრეს ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ— შეანელონ მსოფლიოს რევოლუციური ძალების მოქმედების ერთიანობა. ჩვენ ვიბრძვით როგორც რევიზიონიზმის წინააღმდეგ, ისე დოგმატიზმის წინააღმდეგ, რომლებიც ამახინჯებენ ჩვენს რევოლუციურ მოძღვრებას. ჩვენ, თქვა დასასრულ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ საუნებით გაიმარჯვებს შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმი, ყველა ქვეყნის კომუნისტთა ძმობა და სოლიდარობა.

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის გამოსვლის შემდეგ მიტინგის მონაწილენი ლოზუნგებს წარმოთქვამდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობას, სოციალისტურ ბანაკის ქვეყნების შეკავშირებას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ბა-დინის მოედანზე გამართული მიტინგი საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ხალხთა ძმური მეგობრობის მკაფიო გამოვლინებაა.

ჰანოი, 7 თებერვალი. (საკდესი). დღეს ჰანოიში მოლაპარაკება გამართეს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ხო ში მინი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ე. ფ. ლოგინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ავიაციის მთავარი მარშალი კ. ა. ვერშინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გ. ს. სიდოროვიჩი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ი. ს. შჩერბაკოვი.

ვიეტნამის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჩიონგ ტინი, ფამ ვან დონგი, ფამ ხუნგი, ვო ნგუენ ზიაპი, ლე დიკ ტიხო, ნგუენ ზუი ჩინი, ხოანგ ვან ხოანი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ვან ტიენ ზუნგი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ვან კინი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხოანგ ვან ტიენი.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხებზე და საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ინტერესებს ორივე ქვეყანას.

მოლაპარაკება გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

მშვიდობითა და მეგობრობით

ნ თებერვალს ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი — მეთაური სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციისა, რომელმაც თურქეთში იმოგზაურა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა პარლამენტარების ვიზიტი გადაიქცა დიდ მოვლენად თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს მოგზაურობა საინტერესო და, უეჭველია, სასარგებლო იყო ორივე ქვეყნისათვის.

დელეგაციის მეთაურმა მოკლედ გააშუქა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობის ისტორია. საბჭოთა ქვეყანამ მსოფლიოში მირველმა ცნო თურქეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან 1920 წელს. 1921 წლის მარტში მოსკოვში დადო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ. ოციან და ოცდაათიან წლებში ორივე ქვეყნის მეგობრობა მტკიცდებოდა.

სამწუხაროდ, შემდგომ წლებში მთელ რიგ გარემოებათა გამო, რაც ორივე ქვეყანაში შეიქმნა, საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა რამდენადმე გაუარესდა. ეს იყო არანორმალური მდგომარეობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე თურქეთის ინტერესებს, ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ქვეყნების იმ მეგობრობის ტრადიციებს, რაც ლენინისა და ათათურქის დროს შეიქმნა. უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირსა და თურქეთის ურთიერთობაში დადგა პირიფიდი, რომელშიც შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისია საბჭოთა კავშირ-თურქეთის კეთილმეზობლობის აღდგენისა. 1963 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირს ეწვია თურქეთის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია. გასული წლის შემოდგომაზე მოსკოვში იყო საგარეო საქმეთა მინისტრი ერკინი, რომელიც სასარგებლო მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებთან. დაიდო შეთანხმება კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის შესახებ. შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა თურქეთის ეკონომიურ ექსპერტთა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია. და, ბოლოს, მიმდინარე წლის იანვარში დიდი ეროვნული კრების მიწვეთით თურქეთში საპასუხო ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. ამრიგად, საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში პირველად მოხდა საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა.

საბჭოთა ადამიანების სურვილისამებრ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას თავისი ვიზიტი მიაჩნია მეგობრობისა და კეთილი ნების მისიად, ჩვენს გამოსვლებსა და საუბრებში უყოყმანოდ გუსვამდით ხაზს, რომ თურქეთისა და სსრ კავშირის საზღვარი უნდა გახდეს სულ უფრო მტკიცე მეგობრობის საზღვარი, რომ შავი ზღვა კი არ უნდა თიშავდეს ჩვენს ქვეყნებს, არამედ განვითარებადი ეკონომიური კონტაქტების გზა უნდა გახდეს, რომ ჩვენმა ხალხებმა უნდა იცხოვრონ მშვიდობით, როგორც კეთილმა მეზობლებმა. საბჭოთა კავშირი არ ხედავს დაბრკოლებას ამ მხრივ, რადგან ეს შეესაბამება საბჭოთა და თურქი ხალხების ურთიერთ ინტერესებს.

საბჭოთა ხალხის გულუწრფელ ფიქრებსა და მისწრაფებებს თურქეთში გაგებით შეხვდნენ და ფართოდ გამოეხმაურნენ, აღნიშნა დელეგაციის მეთაურმა. ჩვენ ყველანან კარგად, გულთბილად და გულითადად გვხვდებოდნენ.

ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა ტელევიზიით

ნ. ვ. პოდგორნინმ ილაპარაკა საბჭოთა პარლამენტარების მოგზაურობაზე თურქეთში. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა აზრები გაუზიარეს სახელმწიფოსა და პარლამენტის ხელმძღვანელებს, სენატორებსა და დეპუტატებს, პარტიულ და პროფკავშირულ მოღვაწეებს, ადგილობრივი ხელისუფლების, საქმიანი და სახალხო წრეების წარმომადგენლებს, ესაუბრნენ მწერლებს, ჟურნალისტებს, ინჟინრებსა და მუშებს. გაიმართა გულახდილი საუბარი საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, საერთაშორისო ცხოვრების საარსებო პრობლემებზე. ზოგჯერ ჩვენი აზრები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, და ჩვენ ვკამათობდით. მაგრამ ერთრამეში მუდამ ერთი შეხედულებისა ვიყავით — საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის იმ მეგობრობის ტრადიციები, რომელსაც ლენინმა და ათათურქმა ჩაუყარეს საფუძველი, მარტოოდენ ისტორია როდია. ჩვენს დროშიც ეს ტრადიციები შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს საფუძველი კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა და განვითარებისა. ეს კი მთავარი და გადამწყვეტია.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო დელეგაციის წევრთა მეგობრული შეხვედრები, გულახდილი, საფუძვლიანი საუბრები რესპუბლიკის პრეზიდენტ გიურსელთან და პრემიერ-მინისტრ ინენიუსთან. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ საბჭოთა ადამიანების მეგობრული გრძნობებს მუდამ გამოეხმაურება თურქი ხალხი.

საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლობა მიეცა გამოსულიყო დიდ ეროვნულ კრებაში ორი პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. თურქეთში მეჯლისის ტრიბუნის დათმობა უცხოელი სტუმრებისათვის გამონაკლისია არსებულ წესებიდან და განსაკუთრებული ყურადღების გამოვლინებად ითვლება. ამ გამოსვლის დროს ჩვენ შევეხეთ საბჭოთა ადამიანების შემოქმედების ვეგეტაციასა და წარმატებებს, მათს გულწრფელ მისწრაფებას — დამყარდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა თურქ ხალხთან, ჩამოვაყალიბეთ საბჭოთა კავშირის პოზიციები ძირეულ საერთაშორისო პრობლემებზე.

ჩვენ, კერძოდ, განვმარტეთ, რომ ყველა კვიპროსელის — ინტერესებისა [illegible] საბჭოთა ქვეყანა [illegible] ბევრ [illegible] ეშვიდობიანად გადაეჭრას კვიპროსის [illegible] კვიპროსის რესპუბლიკის [illegible] ბის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უთუო პატივისცემის, ორივე ეროვნული თემის — ბერძენთა [illegible] ა თურქთა თემების [illegible] ბის [illegible] საფუძველზე. ჩვენ [illegible] ბის [illegible] ბის [illegible] ბის წინ თურქეთის მთავრობისა და პარლამენტის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის ერთგულ [illegible] ბის [illegible] ბის [illegible] ბის

ერთი რაიონის ქრონიკები

დღეს ბოგდანოვკაში



მშვენდება, ლამაზდება

დაბა ბოგდანოვკის ზართო და ლამაზ ქუჩებს ამშვენებს ერთ, ორ და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საწარმო-დაწესებულებათა შენობები.

ვარდისფერი ტუფით ნაგებ ლამაზად მოჩუქურთმებულ სარაიონო კულტურის სახლს, კინოთეატრს, საავადმყოფოს, უნივერმაღს, სკოლებსა და სკოლა-ინტერნატს მალე მხარში ამოუდგება ახალი მრავალსართულიანი ადმინისტრაციული შენობა და საერთო საცხოვრებლები.

მიმდინარე წელს კეთილმოეწყობა და მოასფალტდება ახალი განაპირა ქუჩები და მოედნები. მრავალწლიანი ნარგავებით შეიმოსება დაბის ყველა უბანი, მისი შემოგარენი.

ერთ კოლმეურნეობაში

ბოგელოვკა არცთუ ისე დიდი სოფელია. აქ სულ 400-მდე კომლი ცხოვრობს, მაგრამ მათი კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. ბარბაშინ) ხორცისა და რძის ნამდვილ ფაბრიკას მოგგონებთ.

კოლმეურნეობაში ყავია 9.500 სული ცხვარი და 2.200 სულზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი. დღეღამეში აქ საშუალოდ 34 ცენტნერ რძესა და 25 ცენტნერამდე ხორცს აწარმოებენ.

გასულ წელს კოლმეურნეობამ სულ აწარმოვა 12.416 ცენტნერი რძე და 2.083 ცენტნერი ხორცი. სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულა 115-120 პროცენტით.

კოლმეურნეობა-ფაბრიკა წელს კიდევ 20-25 პროცენტით გაზრდის რძისა და ხორცის საერთო წარმოებას. აქ საკუთარი სახსრებით აშენდა ორი საცხეარე. ახლა აშენებენ 400-ადგილიან კულტურის სახლს.

სოფელში არის ოთხი სხვადასხვა მაღაზია, პური საცობი, სასადილო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები.

დამამზადებლები რიგში დგანან

თბილისი, გორი, ბორჯომი, ქუთაისი — სიიდან, რესპუბლიკის რომელი კუთხიდან გინდათ რომ ბოგდანოვკაში არ მოდიოდნენ ხორცის დასამზადებლად. იანვარი ჯერ არ იყო გასული, და უკვე 1.000 ტონაზე მეტი ხორცი იქნა დამზადებული ბოგდანოვკის ხორცკომბინატში. ნაშურში უკვე 350 ცენტნერამდე ხორცი გაიგზავნა. რიგში დგანან ბორჯომელი და ახალციხელი დამამზადებლები.

ხორცკომბინატის მიმღებ პუნქტსა და საკლავ საამქროში არასოდეს არ წყდება მუშაობა, სოფლებიდან თითქმის ყოველდღიურად ჩამოპყავთ პირუტყვი ჩასაბარებლად.

შარშან ბოგდანოვკის ხორცკომბინატში დამზადებულ იქნა 4.140 ცენტნერი საშუალო და მაღალი ნაკვებობის ხორცი. წელს ეს ციფრი ერთნახევარჯერ გაიზრდება.

თეთრი მდინარეები

ზღვის დონიდან 1.800-2.200 მეტრზეა განლაგებული ბოგდანოვკის რაიონის სოფლები. კიდევ უფრო მაღლაა მათი საზაფხულო საძოვრები, თითქმის 3.000 მეტრამდე. ეს უკვე სუბალპურ ზონას წარმოადგენს.

აქ თვალწარმტაცი ზაფხული, მაგრამ ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარი იცის. მიუხედავად ამისა, წლის ყოველ დროს დიდი შემოქმედებითი სიცოცხლე სჩქეფს.

რაიონის სუბალპური ზონის საძოვრებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება რძის თეთრი მდინარეები. ზაფხულში, როცა იალაღები ხავერდოვანი მწვანით არის დაფარული, ყოველდღიურად 350-დან 400 ცენტნერამდე რძეს აწარმოებენ აქაური მეცხოველეები.

არც ზამთარში შრება რძის თეთრი მდინარეები. მკაცრ ამინდებში ბოგდანოვკელები ყოველდღიურად 100-110 ცენტნერ რძეს აწვდიან სამშობლოს.

ერთ კოლმეურნის ოჯახში

სოფელ როდიონოვკის კოლმეურნეობაში მ. მამიკონიანის ოჯახშია, რომლის სამი წევრი ფერმაში მუშაობს, ხოლო ერთი — მემინდვრეობაში. გამომუშავებულ შრომადღეებზე და შრომის დამატებითი ანაზღაურებით კოლმეურნეობიდან მიიღო 1.500 მანეთი ფულად, 5 ტონა მარცვალი, 3,5 ტონა რძე, 1 ტონა კარტოფილი, 250 კილოგრამი ყვავილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. მათი მარჯვენით გამოშვებული ბარაქის გადატანა კოლმეურნეობის საწყობიდან სახლში სამმა სატვირთო ავტომანქანამ ძლივს შეძლო.

ოჯახის მთელმა შემოსავალმა ფულზე გადაანგარიშებით 3.500 მანეთი შეადგინა.

ასეთი ოჯახები ბოგდანოვკის რაიონში მევრია.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ბოგდანოვკელთა „ექსპორტი“

ბოგდანოვკის რაიონს რესპუბლიკაში პირველი ადგილი უჭირავს მაღალხარისხოვანი ევროპული ყველისა და რძის შაქრის წარმოებაში. აქაური სუბალპური ზონის რძისაგან დამზადებული შვეიცარიული, ჰოლანდიური და ქართული ყველი დიდი მოწონებით სარგებლობს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

შარშან ბოგდანოვკის ყველ-კარაქის ქარხანაში გადამუშავდა 70.280 ცენტნერი რძე, რომლისგანაც დამზადებული იქნა 7.100 ცენტნერი მაღალხარისხოვანი სხვადასხვა სახის ყველი, კარაქი, რძის შაქარი, ხაჭო და სხვა ნაწარმი.

მოსკოვსა და ლენინგრადში გაიგზავნა 2.000 ცენტნერი შვეიცარიული ყველი. ბოგდანოვკის 5.000 ცენტნერამდე ჰოლანდიური და ქართული ყველი მიიღეს თბილისმა, რუსთავმა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ქალაქებმა.

ბოგდანოვკის ყველ-კარაქის ქარხანა ყოველწლიურად 300-350 ცენტნერამდე მაღალხარისხოვან რძის შაქარს უგზავნის ბელორუსიისა და უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის სამედიცინო პრეპარატების ქარხნებს.

ზამთარი სოფლად
ფოტოტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ესტრადას მსახიობი ამშვენებს

უკანასკნელ ხანებში ხშირად მსჯელობენ ქართული ესტრადის შესახებ. აღნიშნავენ მის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. ეს გასაგებია, რადგან თითქმის არც ერთი ახალი საქმე არ კეთდება, თუ მას გარკვეული ნაკლიც არ ახლავს. მაგრამ საკითხავია — რა არის ქართული ესტრადის ნაკლოვანებათა მიზეზი? ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ სწორედ ერთ-ერთ ასეთ მიზეზზე, რომელიც ხელს უშლის აღმავლობის გზაზე დამდგარი ესტრადის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას. პირდაპირ ვიტყვით — ეს არის პროფესიონალ მსახიობთა კადრების დიდი ნაკლოვანება.

გარკვეული წლების წინად ქართულ ესტრადაზე მუშაობდნენ თეატრის წამყვანი მსახიობები, როგორიც იყვნენ ვ. გოძიაშვილი, გ. შავგულიძე, ა. ყორეოლიანი, ს. თაყაიშვილი, ე. აფხაიძე, ა. კვანტალიანი, ა. გომელური, გ. სალარაძე, ბ. კობახიძე და სხვ. მათ შექმნეს პირველი ქართული ესტრადა, საფუძველი ჩაუყარეს მდიდარ ტრადიციას, რომელიც დღესაც გრძელდება.

მაგრამ ამ მსახიობებისათვის ძირითადი საქმეა ადგილი მაინც თეატრი იყო. ესტრადაზე მათი ყოფნა სეზონური მუშაობით ამოიწურებოდა. შემდგომში ისინი ნელნელა ჩამოსცილდნენ ქართულ ესტრადას და მთლიანად დაუბრუნდნენ თავიანთ ძირითად საქმიანობას. სამწუხაროა, რომ მათ ვერ ზეძლეს აღეზარდათ თავიანთი შემცვლელი, ღირსეული კადრები, რომლებსაც მათსავით შეიყვარებდა ქართველი მაყურებელი.

შექმნილმა მდგომარეობამ ფილარმონიის ხელმძღვანელობის წინაშე მკვეთრად დააყენა ახალი საშემსრულებლო ძალების მოზიდვისა და აღზრდის საკითხი.

საჭირო გახდა შექმნილიყო ერთიანი, მთლიანი პროფესიული დასი, რომელიც ფილარმონიის საესტრადო განყოფილების გარშემო შემოიკრებებოდა და მხოლოდ და მხოლოდ ქართული ესტრადის ამოცანებს მოემსახურებოდა.

გაზრდილი მოთხოვნილების მქონე მაყურებლის დაკმაყოფილება მხოლოდ და მხოლოდ დაკლმამაცური ჟანრის მსახიობთა შემსრულებლობით ოსტატობით მიდიხარე ეტაპზე შეუღებელია. ამიტომ ჩვენს ესტრადაზე ხელნელა მოიკიდა ფეხი და საღღეისოდ განვითარების ჯერჯვან დონეზე მიიღწია დანარჩენმა ჟანრებმაც: ვოკალურმა ჯგუფებმა—დუეტებმა, ტრიოებმა, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა კვარტეტებმა, მცირე შემადგენლობის ინსტრუმენტულმა კოლექტივებმა, საესტრადო ორკესტრებმა, მოცეკვავეთა წყვილებმა და ჯგუფებმა. საესტრადო სიმღერების ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, ორიგინალური ჟანრის მსახიობებმა და სხვ.

ინსტიტუტებთან, კულტურის სახლებთან, კლუბებთან, საწარმო-დაწესებულებებთან იქმნება თვითმოქმედი საესტრადო კოლექტივები — ორკესტრები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფები, ქორეოგრაფიული ansamblები. სწორედ ეს ახალგაზრდობა გახდა ის ძირითადი ბირთვი, რომელმაც შექმნა თანამედროვე ქართული ესტრადა. ამ თვითმოქმედებიდან მოვიდნენ ის ახალგაზრდები, რომელთა სახელები დღეს ცნობილია არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მაყურებელთათვისაც. ასეთები არიან გ. ჩიბელი, ნ. დუმბაძე, ს. კოროშინაე, ა. გელოვანი, ნ. ბერეგავაძე, გ. ჭირაქაძე, ვოკალური კვარტეტები გ. ბარძიმაშვილისა და ა. ებრალიძის ხელმძღვანელობით, ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიოები მ. გოძიაშვილისა და ე. სეფაშვილის ხელმძღვანელობით, ქ. კასრაძე თ. ჩანტლაძე, მ. ხერხეულიძე, მ. ეკვიძე და სხვები.

თვითმოქმედებიდან მოზიდულ ძალებთან ფილარმონიის სასტრადო განყოფილებას უნდა თითქმის სტუდიურ მუშაობას ეწეოდეს, რათა მათ გამოიმუშაონ პროფესიონალიზმი და სცენური ჩვევები. სამწუხაროდ, ფილარმონიაში სათანადო პირობების არარსებობის გამო, ძალიან ჭირს საფუძვლიანი მუშაობა ყველა იმ ნიჭიერ ახალგაზრდასთან, რომელიც თვითმოქმედებიდან მოდის პროფესიულ სცენაზე. არა გვაქვს სარეპეტიციო დარბაზები, არა გვყავს პედაგოგი-კონცერტმეისტერები, ქორეოგრაფები. ესტრადაზე ამჟამად მომუშავე ორი რეჟისორი მთლიანად დადგმებზეა და ცხადია, დარჩენილი დრო სტუდიური მუშაობისათვის არ ჰყოფნით.

ქართული ესტრადის დონე, რომელიც მიღწეულია ძირითადად ახალგაზრდა შემოქმედთა ენერგიით, ინიციატივით და მონდომებით, შეიძლება დღეს ურიგო არ იყოს, მაგრამ უნდა გაეთვალისწინოთ ესტრადის განვითარების პერსპექტივები და ტემპები. ის, რაც გუშინ კარგი იყო, დღეს უკვე შოძველებულია. რაც დღეს კარგ გვეჩვენება, ხვალინდელ მაყურებელს ვეღარ დააკმაყოფილებს. თუ ჩვენ დაინტერესებული ვართ ქართული ესტრადის აღმავლობით, მისი ბედითა და მომავლით, საჭიროა დღესვე ვიზრუნოთ ესტრადის ხვალინდელი დღისათვის.

ეფექტრმი, დროა გადაიჭრას ესტრადის კადრების მომზადების საკითხი, უნდა შეიქმნას სპეციალური სასწავლებელი, სტუდია, რომელიც აღზრდის ესტრადის მსახიობებს. ასეთი სასწავლებელი, ჩვენი აზრით, დიდ დახმარებას გაუწევდა ქართულ ცირკსაც.

სპეციალური სასწავლებელი ან სტუდია საშუალებას მოგვცემს მისი მსმენელები უახლოეს ხანში, უკვე სწავლების მეორე-მესამე წელს გამოვიყენოთ ესტრადაზე. ეს იქნება კარგი პრაქტიკა მათი სცენური დოსტატებისათვის. გარდა ამისა, ესტრადაზე გამოჩნდება მსახიობთა ახალი ხაკადი. რაც შეეხება ესტრადის მსახიობთა ახალი კადრების აღზრდელ პედაგოგებს, საქართველოში მათი ნაკლებობა არ არის. ქართული ესტრადის გამოცდილი ოსტატები, რეჟისორები, თეატრალური ინსტიტუტისა და კონსერვატორიის მასწავლებლები გაუწიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს.

ესტრადას მსახიობი ამშვენებს. საჭიროა ვიზრუნოთ ესტრადის მსახიობთა ახალი კადრების აღზრდაზე.

ბ. ქართველიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი რეჟისორი,

ვ. გოგოლაშვილი,
ფილარმონიის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

ვისაუგროთ ახალ წიგნებზე

სტეფან ცვაიგის „ბალზაკის“ ქართულად გამოცემის გამო

დიდი ცხოვრების ფურცლები

გუშინდელი წყობილების უმაყოფილო ონორე დე ბალზაკი ერთ თავის გმირს ასე ალაპარაკებდა: „დიდება მკვდრების მზეა. სიცოცხლეში შენ იქნები უბედური, როგორც ყველა დიდი ადამიანი“.

საკუთარმა გამოცდილებამ და სხვა დიდ პიროვნებათა ბედუკუღმართობამ წამოძახებინა უდიდეს ფრანგ მწერალს ეს მწარე სიტყვები.

ბალზაკს სიცოცხლეში არ ღირსებია ჯეროვანი პატივი და დიდება, დაფასება და ბედნიერება. მისი როგორც გმირი ადამიანის, ბუმბერაზი მწერლის მზე მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ამოვიდა. მან გაანათა სამუდამოდ ბალზაკის შემოქმედება და ახლებურად დაანახვა პროგრესულ კაცობრიობას მწერლის ნათელი და დიადი სახე, მისი უკვდავი მხატვრული შედევრები.

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართველ მკითხველს მიაწოდა გამოჩენილი ავსტრიელი მწერლის სტეფან ცვაიგის ბიოგრაფიული რომანი ბალზაკზე. ეს არის დიდი ადამიანის ცხოვრების ფურცლები, რომელთაგან ზოგი გამამხნევებელი და საინტერესოა, ზოგი დამაღონებელი და სამწუხარო.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს გერმანული მხატვრული სიტყვის თავისებურ ოსტატს, ჩინებულ ნოველისტს სტეფან ცვაიგს. რომლის შესანიშნავი ნაწარმოებებიდან ქართულად თარგმნილია მეცნიერულ-პოპულარული შრომები, ნოველები და ლეგენდები.

სტეფან ცვაიგი დიდ ინტერესს და სიყვარულს იჩენდა წარსულისა და აწმყოს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისადმი. მან ბევრი კარგად დაწერილი წიგნი დაუტოვა კაცობრიობას ცნობილ პიროვნებათა შესახებ. მათგან გამოირჩევა ბიოგრაფიული რომანი „ბალზაკი“.

ქართველი მკითხველი, რომლისთანაც დიდი ხანია ძვირფასია და მახლობელია ბალზაკის შემოქმედება, ინტერესით და სიყვარულით კითხულობს მასზე დაწერილ შესანიშნავ წიგნს.

ცნობილია, ცვაიგს განზრახული ჰქონდა „ბალზაკის“ განვრცობა მაგრამ ის, რაც დაწერა, მთლიანია და შეკრული, ბალზაკის მთელი ცხოვრება ისეა მოთხრობილი, რომ არსად სიუჟეტური ძაფი არ წყდება. ასე რომ, მხოლოდ დაუკვირვებელ თვალს თუ ეჩვენება, თითქოს ერთგვარი წინააღმდეგობა იყოს ამ საგანზე მსჯელობის დროს მთარგმნელის წინასიტყვაობასა და გამომცემლის ბოლოსიტყვაობას შორის, სადაც ლაპარაკია ბალზაკის აუხდენელ ვარაუდებზე. ჩვენს წინაშეა ბალზაკის ცხოვრების დასრულებული, ვრცელი სურათი, და ამას გულისხმობს მთარგმნელი, როცა ქმნილების სისრულეზე ლაპარაკობს.

მწერალი აკაკი გელოვანი ნაყოფიერ ლიტერატურულ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. მან ბარაკეული წვლილი შეიტანა სტეფან ცვაიგის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის კეთილშობილურ საქმეშიც. ამ მხრივ ქართული ლიტერატურის კარგი შენაძენია მის მიერ გერმანულიდან ქართულად თარგმნილი სტეფან ცვაიგის „ბალზაკი“.

წიგნი იხსნება მთარგმნელის ნარკვევით: „სტეფან ცვაიგი და დიდი ბალზაკი“, რომელიც ინტერესით იკითხება. მასში ბევრი ახალი და საყურადღებო აზრია გამოთქმული.

სტეფან ცვაიგის მეგობარი, „ბალზაკის“ პირველი გამომცემელი რიხარდ ფრიდენთალი წერს: „კარგი ევროპელისა და მსოფლიო მოქალაქის ეს უკანასკნელი დიდი წიგნი ახლა შეუფერხებლად იკაფავს გზას და მეგობარს პოულობს ყველა ქვეყანაში, ყველა ხალხში“.

ამ ხალხთა შორის არის ქართველი ხალხიც, ბალზაკის მხატვრულ ნაწარმოებთა ღირსეული მცოდნე და დამფასებელი, და ის ასეთივე სიყვარულით წაიკითხავს დიდ ფრანგ მწერალზე ცვაიგის მიერ დაწერილ წიგნს, იმ სტეფან ცვაიგისას, რომელიც ნატრობდა ჩამოსულიყო საქართველოში, დაეთვალიერებინა მისთვის ეს საოცნებო ქვეყანა და გულთბილად გადახვეოდა ქართველ ხალხს.

ნიჭიერ გერმანელ მწერალს აღარ ხვდა წილად ეს ბედნიერება, მაგრამ მისი წიგნები ასრულებენ ავტორის სანუკვარ ოცნებას და მოდიან ჩვენს ქვეყანაში, როგორც კეთილი მეგობრები.

ასე მოვიდა საქართველოში სტეფან ცვაიგის „ბალზაკი“.

დოცენტი
დ. ფანჩულიძე.

გ. მ. ნათაძე

ხანმოკლე და ძლიერ ავადმყოფობის შემდეგ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-ჰიგიენისტი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი მიხეილის-ძე ნათაძე.**

გ. მ. ნათაძე დაიბადა თბილისში პედაგოგის ოჯახში. კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1921 წელს საქართველოში დაბრუნდა და მუშაობდა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში, ხოლო 1922 წლიდან დაიწყო მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

სხვადასხვა დროს გ. მ. ნათაძე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სანიტარული განყოფილების ცენტრალურ სანიტარულ-ჰიგიენურ ლაბორატორიას, რომელიც მისი ინიციატივით შეიქმნა, იყო სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, განაგებდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კვების სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიას.

1938 წლიდან სიკვდილამდე გ. მ. ნათაძე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრის გამგე.

გ. მ. ნათაძე ავტორია 120-ზე მეტი დაბეჭდილი მეცნიერული შრომისა და სახელმძღვანელოსი, რომლებიც გამოცემულია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. იგი საქართველოს ჰიგიენური საზოგადოების დამაარსებელი და მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო.

მრავალმხრივ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად გ. მ. ნათაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა, იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და თავმჯდომარე, ჰიგიენისტთა სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი. ამასთან ერთად იგი დიდ მუშაობას ეწეოდა როგორც დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს წევრი და თანრედაქტორი, ჟურნალების „გიგიენი სანიტარია“, „ვოროსი პიტანია“ სარედაქციო საბჭოებისა და ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა გ. მ. ნათაძის მოღვაწეობას, დაჯილდოვა იგი ლენინის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

შესანიშნავი მეცნიერი პედაგოგისა და მოქალაქის, გულისხმიერი ადამიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება სამედიცინო საზოგადოებრიობისა და ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
საქართველოს სსრ ჰიგიენისტთა სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოება

გ. მ. ნათაძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან:

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე 9 და 10 თებერვალს სადამოს 7 საათზე (კამოს ქ. № 4), 11 თებერვალს დღის 2 საათზე ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბში (რუსთაველის პროსპექტი № 1). გამოსვენება 4 საათზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და საქართველოს სსრ ჰიგიენისტთა სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოება მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი

გიორგი მიხეილის-ძე ნათაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

მოსკოველი სკანდინავიის ჩემპიონია

ჰელსინკი, 8 თებერვალი. (საკადესი). მოსკოველმა სტუდენტმა **ა. დმიტრიევამ** ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს მიუმატა სკანდინავიის ღია პირველობის გამარჯვებულის წოდება. მან მოიგო შეჯიბრება შერეულ წყვილთა თანრიგში სსრ კავშირის ჩემპიონ ესტონელ **თ. ლეიუსთან** ერთად და ქალთა წყვილში შვედ **გ. როსინთან** ერთად. ფინალში საბჭოთა წყვილმა ანგარიშით 6:3, 7:5 დაამარცხა ინგლისელთა ძლიერი დუეტი ბ. ჯოლსონი და ე. სტარკი.

საბჭოთა ჩოგბურთელები გავიდნენ აგრეთვე ცალთა ასპარეზობის ფინალში. მაგრამ დმიტრიევა დამარცხდა იმავე სტარკისთან ბრძოლაში — 2:6, 6:1, 3:6, ხოლო ლეიუსმა წააგო მწვავე ორთაბრძოლა ინგლისელ რ. ტეილორის წინააღმდეგ — 0:6, 13:11, 11:9, 14:16, 1:6.

თ. ლეიუსმა რუმინელ ი. ცერიიკთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა წყვილთა თანრიგში ვაჟთა შორის. გიმარჯვეს ინგლისელებმა ბ. ჯილსონმა და რ. ტეილორმა.

უძლიერესის ტიტული მეოთხეჯერ

მსოფლიოს პირველობის გათამაშების უკანასკნელი დღე ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთათვის ფინეთის ქალაქ ოულუს საციგურაოზე... სასაზარულოა, რომ ეს დიდი პაექრობა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით აღინიშნა.

უკვე ვიუწყებოდით, თუ რა შედეგებს მიაღწიეს ჩვენმა მოციგურავე ქალებმა სტარტზე. მაგრამ ამ კარგ დასაწყისს კარგი ფინიში ესაჭიროებოდა.

და აი, გასულ კვირადღეს სპორტის ამ სახეობის მოყვარულები მართლაც რომ მიმზიდველი პაექრობის მოწმენი გახდნენ. დიახ, სწორედ ამ შეჯიბრებას უნდა გამოეკვლინებინა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი.

პირველ დღეს ი. ჯორონინა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. საჭირო იყო წარმატების შენარჩუნება — 1.000 და 3.000 მეტრის ასევე ძლიერად გავლა.

მიუხედავად არახელსაყრელი წელისყრისა ი. ჯორონინამ ამ დისტანციებზეც გამოიჩინა თავი. მისმა დახვეწილმა ტექნიკამ და ტაქტიკამ მაყურებლები აღაფრთოვანა.

1.000 მეტრზე პაექრობაში ი. ჯორონინას მძაფრი ბრძოლა ჰქონდა ჰოლანდიელ სტინ კაიზერთან და გაიმარჯვა, აჩვენა დრო — 1 წუთი და 37,7 წამი.

ყველაზე ძნელ დისტანციაზე 3.000 მეტრზე ჩქაროსნულ ციგურაობას უნდა გადაეწყვიტა პირველობის საკითხი. მოსკოველ სპორტსმენს ი. ჯორონინას აქაც ბადალი არ ჰყავდა, მან დისტანცია დაფარა 5 წუთსა და 18,2 წამში.

ამრიგად, ინგა ჯორონინა 198,583 ქულით მეოთხეჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ჩქაროსნულ ციგურაობაში, რაც სპორტის ამ სახეობაში უჩვეულო მოვლენაა. მეორე ადგილი დიაკავა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. სტენინამ, მესამე — ჰოლანდიელმა მოციგურავე სტინ კაიზერმა.

ინგა ჯორონინა შეამკეს დაფნის გვირგვინით, მას საზეიმოდ გადაეცა ოქროს მედალი.

ოლიმპიური ფურცელი

ბელგრადის წარუმატებლობა ბელგრადში

ბელგრადის გამოფენათა სასახლის სპორტულ დარბაზში კვირას გიმარჯვა ხელბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაგრების „მედვეშჩაკის“ გუნდებს შორის.

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ბელგრადის გაზეთ „სპორტის“ რედაქციას. ტელეფონთან მოვიდა რედაქციის მუშაკი **ერმანი.**

ერმანი. ეი რა გვიამბო მან:

მეტოქეები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: „ბურევესტნიკი“— **ბაიშვილი,** ეკსეულიძე, **ფხაკაძე, მაჭავარიანი, კლიმოვი, ცერცვაძე, კარტოზია;** „მედვეშჩაკი“ — **ვუკოვიჩი, ურემოვიჩი, ფიგმესტარი, მილკოვიჩი, ბლანკი, ბოგდანი, პავლოვიჩი.**

ბრძოლა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. ორივე გუნდმა აჩვენა კარგი მომზადება. პირველი ტაიმი თითქმის თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე „მედვეშჩაკმა“ შეძლო დაწინაურება.

ტაიმი დამთავრდა მასპინძელთა სასარგებლოდ 10:6.

მეორე ნახევარში თბილისელებმა შედარებით უფერულად ითამაშეს. „მედვეშჩაკმა“, რომელსაც დიდი მონდომებით უეჭერდა მხარს 2.500-ზე მეტი მაყურებელი, თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე იუგოსლავიის ჩემპიონი იგებდა შეხვედრას 10 ბურთის სხვაობით.

მატჩის საბოლოო შედეგია 21:13 „მედვეშჩაკის“ სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ რუმინელი არბიტრი გორლიჯიანუ ხშირად მმართავდა სასჯელის უმაღლეს ზომას — 7-მეტრიან საჯარიმოს. „ბურევესტნიკის“ კარში რვაკერ იქნა დანიშნული ასეთი ჯარიმა.

ყველაზე შეღიგანი მოთამაშეები იყვნენ: „მედვეშჩაკიდან“ — **მილკოვიჩი** (8 გოლი), **ფიგმესტარი** (6), **ურემოვიჩი** (5); „ბურევესტნიკიდან“—**ფხაკაძე** (4), **ცერცვაძე** (4), **კლიმოვი** (2).

გუშინ თბილისელი ხელბურთელები თავიანთ მეტოქეებთან ერთად ზაგრებს გაემგზავრნენ, საიდანაც ორი დღის შემდეგ თბილისში დაბრუნდებიან.

შესვედრა დინამოელებთან

გუშინ ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოეწყო ქალაქის საზოგადოებრიობის შეხვედრა სსრ კავშირის ჩემპიონთან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივთან. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა შ. კობახიძემ. ჩემპიონებს მიესალმნენ: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი დ. ქართველიშვილი, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჟ. ხვედელიძე, პოეტი გ. სამხარაძე და სხვ.

სტუმართა სახელით გამოვიდნენ: გ. კაჩალინი, შ. იამანიძე, ს. კოტრიკაძე და სხვ. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

სპორტული ქრონიკა

△ **ევროპის** ჩემპიონატის მესამე ტური მოტორბოლაში ყინულზე გაიმართა მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. აქ უძლიერესი აღმოჩნდა საბჭოთა სპორტსმენი **ბ. სამოროდოვი.** იგი მეორე ადგილზე იმყოფება სამი ეტაპის შემდეგ. ლიდერია **გ. კადიროვი.**

△ **ხარკოვში** დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშები მაგიდის ჩოგბურთში. ქალთა შორის ამ შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ზ. რუდნოვა, რომელმაც პირველი ადგილები დაიკავა ერთეულთა, წყვილთა და მერეულ წყვილთა პაექრობაში.

ასეც ხდება

ჯიქები უკან იხევენ

ტალიშის მთებიდან (სამხრეთი აზერბაიჯანი) ვიწრო ბილიკით ეშვებოდა გარეული ღორების კოლტი. მას მოუძღოდა გრძელეშვებიანი ბებერი ტახი. დროდადრო იგი ჩერდებოდა, სმენად იქცეოდა. უცებ ტოტებზე ჩხიკვმა დაიწყო ხტუნვა და ჩხავილი. ის როგორც კი დაინახავს ცოცხალ არსებას, მაშინვე „განგაშს ტეხს“.

ჩხიკვის ჩხავილმა წინამძღოლს ყურები დააცქვეტინა. ტახმა დინგი მაღლა ასწია, ჰაერი დაყნოსა. არა, არაეთარი საფრთხის ნიშნები არ იყო.

ბებერმა ტახმა არ იცოდა, რომ ახლოს მიმალული იყო ორი ჯიქი. ერთი მათგანი დაჭრილი იყო. მონადირემ მას ნადავლი დაადგებინა და დიდხანს სდევდა ნადირს. მხეცი შიშშილობდა.

წინამძღოლმა საშიშ ადგილს ჩაუარა, ჯიქებმა ვერ გაბედეს თავს დასხმოდნენ მას. ღორმა, რომელიც კოლტის ბოლოს მოდიოდა, მხოლოდ დაპყვირება მოასწრო. გამოღადრული ყელიდან სისხლი თქრიალით წამოვიდა. მშიერი ჯიქი დააცხრა ჭრილობას.

უცებ ძლიერმა დარტყმამ მხეცი განზე გადაადგო. ეს ტახი მოვიდა კოლტის დასაცავად. ასე დაიჭრა მეორე ჯიქი. ეშმა მას გვერდი გამოგლიჯა. მაგრამ მხეცი არ